საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარი კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

პარასკევი, სექტემბრის 2 1921 წ. № 11

ფასი 500 მანეთი

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ხუთშაბათს, სექტემბრის 1-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## სამსონ დავითის ძე კილაძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს ძმები: სიმონ, ივანე, ბართლომე, გიორგი და და ემელიანე, რძლები: მართა, პელაგია, ივლიტა და ანნა შვილებითურთ. სამოქალაქო პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე ფრეილინის ქ. სახ. № 9. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო [illegible]
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ აღძრან ყრილობისათვის სხვა და სხვა საკითხი 20 ენკენისთვემდე. საყრილობო საკითხს ამტკიცებს დრ. მთავარი კომიტეტი.

## ტრიბუნიდან

9.

**შეთანხმების საფუძველი და ეროვნული მიმართულება სინამდვილეში.**

რუსეთის ახალი ეკონომიური პოლიტიკა ბურჟუაზიის უარყოფაა, იგი საფუძველია სოციალურ ძალების დაახლოვების, ურთ-ერთისადმი მეტი ნდობის ჩამოგდებისა. ეროვნული საკითხის სისწორით გადაჭრას ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ისეთი მხარეში, სადაც რუსის ეთნოგრაფიულ ძალას სჭარბობს არა რუსული ეთნიური ელემენტი.

ეროვნული საკითხი დღეს ჩვენ მიგვაჩნია რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად. ეროვნული პრობლემის ასეთი ღირებულება საფუძვლიანად უნდა შეისისხლხორცოს რევოლუციის ყოველმა მეგობარმა.

ჩვენ ერთი ისტორიული მოვლენა უნდა აღვნიშნოთ: რევოლუციის ტემპერატურა არც ისე ცვალებადი აღმოჩნდა, როგორიც გვეგონა. ყოველ შემთხვევაში ჩაგვრის დიდ სამეფოებში გადატრიალებებმა ვერ მიიღეს ისეთი დიდი ხასიათი, როგორიც ეს ჯერ-ჯერობით მოხდა იმ ევროპაში, რომელიც ითვლება მონა ერების ბატონად. რასაკვირველია ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს აზია და მონა ერები რევოლუციის ძვირფასი მასალა არ იყოს. არა, ეხლაც ურყევლად მიგვაჩნია ჩვენი მთავარი დებულება: ნაციები რევოლუციის მოძრავი ძალაა, მაგრამ თუ ნაციებში ჯერ კიდევ საკმაოდ არა სჩანს რევოლუციური დინამიკა, ეს ხდება უეჭველად იმიტომ, რომ ყველა ნაცია ჯერ კიდევ ვერ მიიმხრო, ვერ დაიკავშირა, მასში საკმაო ნდობა ვერ გააღვიძა რევოლუციის მესვეურებმა. ნაციებს არაფერი სწამთ „ხალხთა ლიგის“, ანტანტის, ევროპის რეაქციის, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მან იწამა „ხალხთა ლიგის“ ანტიპოდი—ინტერნაციონალი და რეაქციიდან რევოლუციაში გადავიდა.

რამ გამოიწვია ანტანტისადმი ერების სრული უნდობლობა? მხოლოდ შემდეგმა ფაქტმა. ვილსონი ანექსიას უარყოფდა, ერების თვითგამორკვევას აღიარებდა. სინამდვილეში ანექსიონისტური და შოვინისტური ძალა გამოდგა. ვილსონს საუცხოო ეროვნული დეკლარაცია ჰქონდა, საკმაო იყო ამ დეკლარაციის სინამდვილეში შეწდალება, რომ ყოველივე ნდობა დაკარგოდა ვილსონის ქადაგებას. ანტანტის სხვაობამ სიტყვასა და საქმეში იმდენად გაადიზიანა მსოფლიოს დაჩაგრული ერები, რომ აღარ გვეგულება მესოპოტამიაში არც ერთი მოქალაქე ამერიკელ იანკში არ ხედავდეს მხოლოდ და მხოლოდ გაიძვერა ტურისტს, რომელსაც ჯიბეში როკფელერის მანდატი არ ქონდეს ნავთიან ადგილების საპოვნელად და რომელიც შემთხვევითაც არ მოიგონებს აზიის ხალხის უბედურებას. ერების ამ დაბრუნდ მეგობრობისათვის დეკლარაციებს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, უმთავრესი პრაქტიკაა, სინამდვილეა. ბევრს გონია, რომ ხალხი ხედავს დეკლარაციას, გაიგონებს და დაიჯერებს სიტყვა, პრესა, აგიტაცია. ამიტომაა იგი ძალა მთელ თავის ენერგიას ამ მხარეზე ხარჯავს, ნამდვილად კი ეს არის დიდი გაუგებრობა და შეცდომა. დღეს დეკლარაციები და პრესა უფრო ნაკლებობის კორექტორებისა და ცენზურებსა არის, ვიდრე ისეთი მასისათვის რომელიც დეკლარაციებით ძიდიოდეს მოძრაობაში. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დღეს ასეთი მნიშვნელობა ხალხის ფართო ნაწილისათვის, აღარ აქვს ამ ლიტერატურულ კომპანიას. უმთავრესი მნიშვნელობა ისევ და ისევ პრაქტიკას, მოქმედებას, საქმეს აქვს. მთელი წლის ლიტერატურული და აგიტაციური მუშაობა სრულიად გაქარწყლდება სულ უბრალო საქმით, თუ იგი როგორიმე შეუფერებელი ან შეურაცხმყოფელი იქნება დაჩაგრულ ერისათვის. დაჩაგრული ერი, რომელიც საუკუნოებით იტანჯებოდა, საუკუნოებით იბრძოდა თავისუფლებისათვის, თავის ძვირფას შვილების უმანკო სისხლს იღებდა რევოლუციისათვის მეტად სათუთი და მგრძნობიარე ელემენტია; რეაქციის სუსხი მას არ უკვირს, იგი გმირულად იტანს რეაქციას და ებრძვის მას, მაგრამ რევოლუციისადმი იმედის გაცრუება მას სულიერად სტეხს, სასოწარკვეთილების მორევში აგდებს, ტრაგიკულ მდგომარეობაში აყენებს. მიტომ, რომ რევოლუციიდან ის ბევრს მოელის, მისდამი უსაზღვრო იყო გატაცება და ასეთს შედეგისათვის ემზადებოდა, საკმაოა აქ მცირე შეცდომა, რომ ნაციამ დაკარგოს ის კეთილშობილური ისტორიული გრძნობები, რომელიც სპეციფიურ თვისებად ითვლებოდა რეაქციასთან ბრძოლის პროცესში.

მეტად რთული და პასუხსაგებია ერებში მუშაობა. ეროვნულად მთლიან სახელმწიფოში მოღვაწეობა მარტივი და ადვილია, ძნელია და მეტად პასუხსაგებია პერიფერიაში და ეროვნულად ჭრელ მასაში. სახელმწიფო ასეთ მხარეებისათვის უნდა იძლეოდეს თავის საუკეთესო მოღვაწეებს, ვინაიდან რევოლუციის და სახელმწიფოს ძალა დაჩაგრულ ერებში, სიმპატიების გაღვიძებაში იხატება პერიფერიების ცენტრთან დაკავშირებაში და არა ცენტრში დიდი მუშაობის გაჩაღებაში.

ყველა ამით, რასაკვირველია, შეუძლებელია ანტანტის შედარება ბოლშევიკებთან. ბოლშევიკებმა თეორიულად, საკმაო სისტემატიზაცია შეიტანეს ნაციონალურს საკითხში, მაგრამ ბოლშევიკური მასსა აღზრდილი იყო არა ამ სისტემატიზაციის მიხედვით, არამედ ეროვნული ნიჰილიზმით, ატომიზმის თეორიით, ყალბი ეროვნული მოძღვრებით და მოქმედებით. ამიტომ ბუნებრივია, რომ აღზრდა, ტრადიცია, წარსული გავლენას ახდენს ბოლშევიზმის ბევრ ძალაზე და ეს ძალები ისე სისწორით ვეღარ ატარებენ სინამდვილეში იმ ახალ ეროვნულ თეორიას, რომლის სისწორით გატარება დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოდ რევოლუციას, კერძოდ კი ბოლშევიკებსაც. ამიტომ სავსებით გასაგები იყო, რომ ბოლშევიკებში ეგრედ წოდებული „რუსიტიანები“ გაჩნდნენ. ეს „რუსიტიანები“ დაჩაგრულ ერებში წმინდა წყლის სოციალისტად იყო მიჩნეული, ადგილობრივი ბოლშევიკური ძალები ვერ ამჩნევდნენ მას ყალბ მუშაობას, მაგრამ როგორც ისინი მოსკოვში გამოჩნდნენ უფრო მომზადებულ და გამოცდილ ამხანაგებში—მათ რისხვა დაატეხეს თავზე და გაკიცხეს. აი ეს „რუსიტიანები“ დათვურ სამსახურს უწევენ, როგორც ბოლშევიზმს, ისე რევოლუციას, იმედს უცრუებენ ერებს, ჰკლავენ მათში რევოლუციონურ შემოქმედებას და ასუსტებენ იმ დიდ პროცესს, რომელსაც რევოლუციის სოციალიზაცია ჰქვიან. მაშასადამე, რევოლუციონური ტემპერატურის უმოძრაობის ერთი მიზეზთაგანი ყალბი ბოლშევიკების ყალბი ეროვნული პოლიტიკაა. ამ სიყალბეს ერი ხედავს, მას იჯერებს, ანგარიშს უწევს, სიტყვებს კი ყურადღებას არ აქცევს.

ამ „რუსიტიანებს“ ჩვენ ვხედავთ არა მარტო თურქესტანში, ყირგიზში, აზერბეიჯანში, თითქმის ყველგან, აგრეთვე საქართველოშიც. საქართველოში ეროვნულ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, მიტომ, რომ ქართველობა კომპაქტური კულტურული ძალაა. საქართველოში ეროვნულ პრობლემამ ლიტერატურული პერიოდი განვლო, ასეთი რავის აღარ ესაჭიროება ეროვნული თეორია, დღეს ყველას ეროვნული საქმე აინტერესებს. მთელი ჩვენი ხალხი დღეს ბოლშევიკებს ზომავს არა ხელისუფლების საკითხის ასე თუ ისე გადაჭრის თვალსაზრისით, არამედ ეროვნული პოლიტიკის მხრივ. ჩვენში ნაციონალურმა მომენტმა კლასობრივი მომენტი დაფარა. თქვენ ყველგან გაიგონებთ—ოღონდ საქართველო იყოს, ჩვენ ბოლშევიკებსაც შევურიგდებითო, ამას ამბობს მდგომარეობით არა პროლეტარი და ეს ხმა უეჭველად ხმაა ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობისა. რამდენადაც ეს ფაქტია, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა მოითხოვს ამ ფაქტის გაგებას, მისთვის ანგარიშის გაწევას, ჩვენი ხალხის დაკმაყოფილებას, ვინაიდან ანბანურ და ურყეველ დებულებად უნდა მივაჩნიოთ: ჩვენი მთავრობა იმდენად იქნება ჩვენი მთავრობა, რამდენადაც ის დაემყარება ჩვენივე ხალხის მასსას, რამდენადაც ის მიიპყრობს ჩვენი ხალხის მასსების ყურადღებას და სიმპატიას. საკითხის ასე დაყენება ერთად ერთი რევოლუციონური მოქმედებაა, ეს გამოიწვევს დიდ ნაყოფს, იგივე უმთავრესი ნიადაგია საქართველოში არსებული მემარცხენე სოციალისტური ჯგუფების შეთანხმების და შერიგების.

ფორმალურად საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. ეს დიდი გარანტია და პირობაა სადა სოციალისტური ეროვნული პოლიტიკის საწარმოებლად. ბევრი ბოლშევიკი ეხლაც იმეორებს: ნაციონალური პრინციპი დღეს, ეხლა, რევოლუციის პროცესში დაქსაქსვის ელემენტია. როცა ამას რუსი ამბობს—გასაგებია. შიდა რუსეთში ნაციონალურად დაყოფა ერთი მოდგმის, ერთი ტერიტორიის აბსურდია, რეაქციაა, შეუძლებელია, მაგრამ დაჩაგრულ ერებში ნაციონალურ შერჩევის უარყოფა—ასევე აბსურდია, შეუძლებელია, რევოლუციის შესუსტებაა. თუ მართლა სერიოზულია დებულება: ნაციონალური პრინციპი პრაქტიკულად რეაქციონურია, მაშინ დეკლარატიულადაც უნდა მოისპოს ნაციონალური სახელმწიფოების იდეა. პირდაპირ შეუძლებელია ნაციონალურ სახელმწიფოების თუნდაც ფორმალურად და თეორიულად გამოცხადება, თუ იგი სახელმწიფო რევოლუციას დაქსაქსავს, ერთი სიტყვით, თუ იგი რეაქციონური ღირებულებისაა. რევოლუციის მაგნიტური დეკლარაციაც შეუძლებელია. მაგრამ თუ მაინცა და მაინც, ჩვენ ფაქტთან გვაქვს საქმე და ნაციონალურ სახელმწიფოებს ბოლშევიკები ამრავლებენ, ეხლა ნაციონალურ სახელმწიფოების იდეა პარტიის მესვეურებში არაა აგებული, როგორც რეაქციური მოვლენა და თუ ასეთ დებულებას ჩვენში მაინც აქვს ადგილი და გასავალი ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენს პატარა საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი პატარა ბოლშევიკია „რუსოტიანიზმით“ და ძველი დოგმატიური მარქსიზმით გაჟღენთილნი.

ამ გვარად, ნაციონალური სახელმწიფოს გამაგრება—აი ერთი უმთავრესი პირობა პარტიების შეთანხმებისათვის. ეს პირობა ფორმალურად არსებობს, საჭიროა მხოლოდ მისი განვითარება და ჩამოყალიბება.

მაგრამ რაა ნაციონალური სახელმწიფო? რამდენად პრაქტიკულად არის გატარებული ცხოვრებაში ნაციონალური მიმართულება? რა უნდა ვაკეთოთ?

თედო ღლონტი.

## იმპერიალიზმი და რევოლუცია აღმოსავლეთში.

(დასასრული)

კომინტერნმა აღნიშნულ ამბებს არსებითი ყურადღება მიაქცია და აღმოსავლეთის პირობებს თავისებური პოლიტიკა შეუფარდა. კომინტერნის მეორე კონგრესმა დაადგინა, რომ „ჩამორჩენილ მხარეებში კომუნიზმს შეუერთდებიან არა კაპიტალიზმის განვითარების გზით, არამედ კლასიურ თვითშემეცნებით კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ“. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. ჩამორჩენილი მხარეები, რევოლუციის შეხედულებით, უნდა ასცდენ კაპიტალიზმის გზას. კაპიტალიზმი ვეღარ ასრულებს თავის მოვალეობას აღმოსავლეთში და მისი ადგილი რევოლუციონურმა შემოქმედებამ უნდა დაიჭიროს. საბჭოთა სისტემის გზით კომუნიზმისაკენ—აი რევოლუციის ცდადა არის. გზა კაპიტალიზაციისა და პროლეტარიზაციისა, რომელსაც დიდი ადგილი ეჭირა მარქსისტულ აზროვნებაში, უარყოფილია აღმოსავლეთისათვის. ამგვარად თუ ევროპაში კომუნიზმისათვის ობიექტიური ნიადაგი შეამზადა კაპიტალიზმმა, აღმოსავლეთში მხოლოდ კაპიტალიზმის ჩანასახთან გვაქვს საქმე და კომუნიზმისათვის ნიადაგის შემზადება რევოლუციონური აქტივიზმით ხდება, რაც მოითხოვს ყოველგვარ ექსპლოატაციის მოსპობას. ამ მხრივ ევროპის რევოლუცია და კაპიტალიზმი გამოდის როგორც ხელმძღვანელი აღმოსავლეთის რევოლუციისა.

„ევროპა უხელმძღვანელებს თავის ახალგაზრდა დას—აზიას, ახალი ცხოვრების საფუძვლების ჩამოყალიბებაში და აზიასთან ერთად აღმართავს შრომისა და ნაციონალური თავისუფლების ახალ დროშას“—ამბობს ამხ. თ. ღლონტი*)

პირველ ხანაში კოლონიის რევოლუციები არიქნება კომუნისტური, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოლონიების რევოლუციის ხელმძღვანელი შეიქმნება ბურჟუაზია. წინააღმდეგ, პროლეტარულმა პარტიებმა უნდა გასწიონ გაძლიერებული პროპაგანდა კომუნისტური იდეების და დაამყარონ მუშათა და გლეხთა საბჭოები. ასეთია მთავარი ხაზი კომინტერნისა კოლონიების საკითხში**) კომინტერნის აღმოსავლეთის პოლიტიკა სერიოზული, ახალი და შეუდარებელია მსოფლიო რევოლუციის მიმდინარეობასთან. კომინტერნი ჰკრებს რევოლუციონურ ძალებს, კომუნიზმის მებრძოლთა პოლკებში და ახალი გზებით მიეშურება ახალი ცხოვრების დასამყარებლად. კოლონიების რევოლუცია ახალი რგოლებია საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ამდენხანს სოციალისტური და რევოლუციონური მოძრაობა ევროპისა და ამერიკის საზღვრებით ისაზღვრებოდა. დღეს ეს რკალი გაირღვა და მსოფლიო რევოლუციის სარბიელი მთელი მსოფლიოა.

ახალმა ცხოვრებამ ახალი მიზნები დაუსახა მოძრაობას. ძველი პროგრამა და პოლიტიკა ახალი ცხოვრებისათვის მიუღებელი შეიქმნა. ეს ესმით კომინტერნის ხალხს, მაგრამ სრულ სიბეცეს იჩენს მეორე ინტერნაციონალი. ისინი კოლონიებს იმპერიალისტების საზომით უყურებენ.

მეორე ინტერნაციონალს არასოდეს არ განუხილავს კოლონიების საკითხი სერიოზულად და არ შეუმუშავებია გარკვეული გეგმა კოლონიალურ მოძრაობისათვის. ინტერნაციონალში ერთი მეორეს საწინააღმდეგო მიმდინარეობა არსებობდა. სოციალ-იმპერიალისტები კაპიტალიზმის განვითარებაში პროგრე-

*) იხ. Ө. Глонти გვ. 111.

**) იხ. Резолюции и устав коммунистическаго „Интернационала“. გვ. 88—102.

...ული მოვლენას ხედავდნენ. მათი აზრით იმპერიალიზმი „მსოფლიოში ამზადებდა ნიადაგს სოციალიზმისათვის. აქედან მოქმედება ნათელია: მხარის დაჭერა კაპიტალიზმის ყველა ინტერესისა. მათთვის კოლონიების ჩაგვრა სავსებით მისაღები იყო, ვინაიდან ამას მოითხოვდა კაპიტალიზმის განვითარება (ფონოვი, დავიდი, ბერნშტეინი და სხვა). მიმდინარეობამ მოგვცა გარკვეული ტიპის სოციალ იმპერიალიზმი.

რაც შეეხება მეორე ინტერნაციონალის ე. წ. „ცენტრს“, მათი პრინციპსა და მოქმედებას შორის წინააღმდეგობა ყველასათვის ნათელია. მათ დაგმეს იმპერიალიზმი, უარყვეს მისი პროგრესიული როლი, მაგრამ პრაქტიკულად ვერ მოგვცეს გარკვეული დებულება ბრძოლებისათვის. მათმა პასიურმა რადიკალიზმმა დიდი ზიანი მიაყენა მეორე ინ—ლს და სავსებით გაუმაგრა ზურგი სოციალ-იმპერიალისტებს. ასე ესმოდა იმპერიალიზმი ამ მიმდინარეობას. მაგრამ აქედან არ გამოყავდათ შესაფერი დასკვნები. ბებელმა იენის პარტეიტაგზე 1911 წელს წარმოადგინა რევოლიუციონური პროლეტარიატის ლოზუნგის საცვლად. „კოლონიებიდან შორს“, ლოზუნგი: „სწორუფლებიანობა ყველა სახელმწიფოებისა კოლონიებში“.*) ამით სამუდამოდ მოიხარა „პასიურმა რადიკალიზმა“ თავი სოციალ-იმპერიალიზმის წინაშე. ასეთს უხეირო დასკვნებს აშკარად შეხვდებით ამ ჯგუფის მოღვაწეებში.

„პასიურმა რადიკალიზმმა“ ვერ დასვა კოლონიის საკითხი მთელი თავისი შინაარსით და თავისი უხასიათო მოქმედებით ძირი გამოუთხარა მეორე ინტერნაციონალის არსებობას.

ძველი ინტერნაციონალი გაკოტრდა. ახალი ცხოვრება, ახალ საერთაშორისო ორგანიზაციას მოითხოვს. ბუნებრივია, ძველი ინტერნაციონალის ნანგრევებზე აღმოცენებულიყო ორგანიზაცია, რომელიც ახალი მოვლენების შესაფერის პროგრამას მოგვცემდა, ახალ ლოზუნგებსა და ახალ მოძრაობას შექმნიდა. ეს ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო მსოფლიოს მშრომელი მასების ორგანიზაცია, მისი სულისა და გულის გამომხატველი.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ და საერთაშორისო პროლეტარიატის შეგნებულმა, გაბედულმა მოქმედებამ მოგვცა ასეთი ორგანიზაცია კომინტერნი, რომლის წითელი დროშის ქვეშაც თავი შეაფარა ჭადაროსან აღმოსავლეთის მრავალ მილიონიანმა მშრომელმა მასებმა.

აღმოსავლეთის მშრომელ ხალხს ყოველმხრივ გაანთავისუფლებს მხოლოდ სოციალისტური რევოლიუცია და კომინტერნის სამოქმედო გეზიც აქეთკენაა მიმართული.

კომუნიზმის წითელი დროშის ქვეშ სამუდამოდ შერიგებასა და მშვიდობიანობას მოიპოვებს აწდგან ხანს სამარცხ გომარეობაში მყოფი ევროპა და აზია, დასავლეთი და აღმოსავლეთი.

სიმ. ხუნდაძე.

# ჩვენი გზა

3.

ჩვენს ახალგაზრდობას.

მეორე წერილში ჩვენ ერთი კითხვა დავსვით. შესაძლებელია თუ არა თანამედროვე ეპოქა გახდეს გარდამავალ პერიოდად? თუ ამ ხანას მარქსიზმი ვერ ხსნის, როგორია ჩვენი პროგნოზი? რა ძალები იქმნიან სოციალურ დინამიკას? რა ფაქტები უნდა არსებობდეს ახალ სოციალ ფორმაციაში გადასვლისათვის?

ისტორიული პროცესის გაგებაში მარქსიზმის მატერიალისტურ მონიზმს ჩვენ სინთეტიზმს უპირისპირებთ.

სოციალური ფიზიკის საფუძლად არ გამოდგება არც მონიზმი, არც დუალიზმი და ეკლექტიზმი.

არც ერთი ელემენტი სოციალური ცხოვრებისა, არ შეიძლება მეტ ღირებულებად ჩაითვალოს და რომელიმე მთავარი დაედოს საფუძვლად მთელი ისტორიული პროცესის ახსნას. სოციალურ ცხოვრებაში ორი ძალა მოქმედობს, პასიური და აქტიური, კონსერვატიული და რევოლიუციონური, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვის. საზოგადოებრივი ფორმაცია კი სახეობაა ამა თუ იმ ეპოქაში, ამ ორი ძალის დაპირისპირებისა.

სოციალური პოლიტიკის აღების დროს, მრავალ მოტივს უწევთ ანგარიშ. ისტორიული პროცესი სინთეზია უამრავი ძალების, რომელნიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმყოფებიან. რელიგიური, დინასტიური, ეროვნული, კლასობრივი და სხ.—მთელი რიგი ძალების ქმნიან სოციალურ დინამიკას. განსაზღვრულ ისტორიულ პროცესში, განსაზღვრული ძალები მოქმედობენ, ხან ერთი ძალაა უმთავრესი ხანა მეორე.*).

დღეს ორი ძალა იბრძვის, ერთი კაპიტალისტური ძალა-უფლების შენარჩუნებისათვის მებრძოლი, მეორე სოციალისტური თავისუფლების მოპოვებისათვის მებრძოლი.

მეორე ძალის ფაქტორებს დღეს კლასობრივი და ეროვნული მომენტის სიმბიოზი ქმნის.

ისტორია თავის განვითარებაში ვოლიუნტარიზმსაც იტევს, მაგრამ თანამედროვე ძალთა ჭიდილი მორალურ და ფსიქიურ ელემენტთა კომბინაციის ზღუდეს ცილდება.

რით ხასიათდება თანამედროვე ეპოქის გარდამავალ პერიოდად დასახვა?

ჩვენ წინა წერილებში აღვნიშნეთ ინდუსტრიალურ ქვეყნებში, წარმოების რეკონსტრუქცია, კონკურენციიდან მონოპოლიამდე. ჩვენ ვსთქვით, რომ დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმი თავის გამოხატულებას გარეშე იმპერიალიზმისა ვერ პოულობს, იმპერიალიზმა კი თავისი მისია შეასრულა და კოლონიალი პოლიტიკისათვის საკმაო ბაზა აღარ არსებობს. ფინანსიური კაპიტალის ეკონომიური პოლიტიკა ზღუდეს მიადგა, რომლის გადალახვა მას არ ძალუძს. ამიტომ მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალიზმს რენესანსი აღარ შეუძლია.

1914—1917 წ-ში საფრანგეთმა საშინელი სისწრაფით გააფართოვა იარაღის წარმოება. თოფის წარმოება გადიდდა 300 ჯერ, მძიმე იარაღებისა—90-ჯერ. ამდენადვე დაეცა და განადგურდა თითქმის წარმოების სხვა დარგი.

ინგლისმა თავის სავაჭრო ფლოტის 40 პროცენტი სამხედრო საქმეებს მოახმარა.

1917 წ. 1 აპრილს, ზღვაში დაძირულ გემთა რიცხვი, მთელი მსოფლიო ფლოტის 21 პროცენტს შეადგენს.

კაპიტალისტური წარმოებაში დეზორგანიზაციამ იჩინა თავი და იგი დეგრადაციის გზაზე დადგა. აქ არ გავაგრძელებთ ამის შესახებ საუბარს, რადგან შემდეგ წერილებში უფრო დეტალურად შევჩერდებით ამ საკითხზე, ვიტყვით მხოლოდ, რომ გარდამავალი პერიოდისათვის არსებობს, როგორც ობიექტური კულტურა ერთი მხრით, ისე სუბიექტური მომზადება ევროპის და აზიის მუშათა კლასისა.

ევროპის კაპიტალიზმს ოთხი ძალა უპირისპირდება, უმთავრესად: ერები, ამერიკული იმპერიალიზმი, საშინაო ფრონტი—რევოლიუცია და რუსეთი.

ვინ გადურჩება დღევანდელ ჭიდილს? ვინ იგემებს გამარჯვებას?

ამისათვის საჭიროა ზემოდ დასახელებულ ოთხი ძალის შეფასება. ჩვენ შევეცდებით შემდეგ წერილებში გავარკვიოთ, როგორც ჩვენი პრინციპიალი, თეორიული შეხედულება ნაციონალურ საკითხზე, ისე ის ტენდენცია, საითკენ მიდის დღეს აზიისა და ევროპის ერთა პოლიტიკური და ეკონომიური პოლიტიკა. დასასრულ შევჩერდებით „ამერიკანიზმზე“, რევოლიუციაზე საზოგადოთ და კერძოდ თანამედროვე რევოლიუციაზე და ბოლოს კი ბოლშევიზმზე და საქართველოს პრობლემის გადამჭრელ ფაქტორებზე.

ხერ. ამაღლობელი.

*) იხ. ვრცლად Г. Зиновьевъ: „Война и кризисъ социализма“ ч. 2-ая გვ 215.

*) ჩვენ სოციოლოგიურ მრწამს დეტალურად შევეხებით შემდეგ მომენტის შეფასების დამოუკიდებლად.

# ქვეყნის გედი, ანუ სატრფოს კილო ქართულ პოეზიაში

(დასასრული)

პოეტი მოლოდინში იყო, რომ სატრფოს განთიადი დაუდგებოდა. ზურმუხტისებური მამული და მისი ფირუზისებური ცა თავისი მშვენიერებით ბედნიერებას და ნეტარებას უმრავლებდა. სატრფოს ძებნაში შეჰბღაოდა მთებს, კლდე-ღრეებს, ჩასძახოდა ქვესკნელს, მიჰყვიროდა მსწრაფლ მიმდინარე წყალსა და რა ვერ ჰპოებდა ნუგეშის ცემას, წყლულს იმსაგლებდა მით, რომ მთები და კლდე-ღრეები სისხლს უჩვენებდა, ქვესკნელი საფლავს და დამხმარ ძვლებსა, რომელიც მოაგონებდა მსხვერპლად შეწირულ წინაპართ ანდერძსა. ამის გამო პოეტს საბრალო გულში სისხლი უდუღდა და მტირალის ხმით მდინარესვე ეკითხებოდა ნამყო ცხოვრების ამბავსა. აქაფებული მდინარე კი ასწლოვან ხეებს მოაქანებდა და მალ-მალ ტალღის კვეთებით ამაოდ ჰ ურდა, გაგლეჯა კლდოვანი კიდეები, რომ წარეცხა ზედ დანთხეული ძველი სისხლი.

როგორც გულის ცემა არ ჰქონდა ტკბილი, ისე არც მისი ჩანგის ჟღერა იყო ეშხითა. ამის გამო თავის თავს ეუბნებოდა, ბედი არ გიწერია. გულით ჯოჯოხეთს ატარებდა. თუ მარტო იყო, თავს მომაკვდავს ადარებდა, თუ ხალხში იყო, ღრუბელს ძალად ასადარებდა, პირს იმზიანებდა, რათგანაც არ ჰსურდა თავისი მოწყენილობით მტერი გაეხარებინა, რომ არ ეთქვათ, რა ოხერიაო. მის სატანჯველს ბოლო აღარ ჰქონდა, აღარავინ აძლევდა სანუგეშოდ ძმურად ხელს. შარბათში ნაღველს სჭვრეტდა, ხოლო ვარდში გველსა. მის გამო სწყევლიდა და ემდურებოდა ამ წუთისოფელს, რომელსაც მისთვის გზათა კვალი ერია. ბედის მოლოდინში იმედი აღარ ჰქონდა მისი მოსვლისა. კიდეც რო სწევვოდა, ვერას არგებდა, რათგანაც აბედიკით დამწვარიყო. უდროოდ დაბერებულს ფეხი საფლავისაკენ გაეშვირა. დაქოლურებულს გული ოცნება გაჰქარწყლებოდა, თავის თავს ნაღვლიანად დასცინოდა და ღმერთს ევედრებოდა, მისთვის მიეცა ნება, რომ ჰღირსებოდა საფლავში დაძინება და გაჰქრობა მიწად ქცევითა.

სასოწარკვეთილების ტანჯვის სიმწვავეს პოეტს უძლიერებდა ის გარემოება, რომ სატრფოს სახე სულ თვალწინ ჰქონდა და მასთან, მის ახლოს მყოფი ბედმწირად გადაქცეულიყო, ასეთი სულისკვეთებაზე აღმართ ასვლის დროს ჰმუნვის ალი გაჰნელებოდა, მზის სხივი მოჰფენოდა, სიცოცხლე ეგრძნო და სიკვდილს ვეღარ შეეშინებინა. რაკი სატრფოს ფიქრში იყო, სატრფო იკითხა, სად არიო. არ იცოდა, ნისლი ჰფურავდა, თუ სადარო დღე უდგა. სერზე გადმოიხედა თუ არა, ჰნახა, მისი სატრფო სხვას ჰმონებდა და გაუკვირდა, მტერს როგორ დაჰნებდაო. ეგონა, მოხიბლულ-შემკვდარიყო და აღერსით მთვრალს ისარი ვეღარ ენახა. მიაძახა, ჰინჯარში ნუ ჰვარდები, მანდ ია და ვარდი ნუ გგონია, შენი თავი შეიბრალე და შეიცოდე, რათგანაც მაგ შარბათში საწამლავს ჰყავმო. მაგრამ სატრფომ არ უსმინა და გულს საუკუნოდ დანა დაასო. ნეტარება პოეტმა ვერც აღმართი ასვლით იპოვა და დაუყვა ისევ დაღმართს, სადაც ელოდებოდნენ ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდითა.

აკაკი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძეს, სატრფოს საქმე წასული ეგონა, რაკი სიკვდილსაც ჰნატრობდა მისი დამკარგველი, მაგრამ ხანდან გრძნობა კვლავ მისი აღდგომისა, ცხოველმყოფელი იმედი მოევლინებოდა ისე, როგორც გოგჩის ტბის ავტორს და აღტაცებული ლაღად ჰყოფდა,

არ მომკვდარა! მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს
და ვინც იმის სიკვდილს ჰნატრობს,
უმალ მასვე დაამიწებს.

ასეთია ქართულ პოეზიაში სატრფოს ქების და ტყვეობის გამო მისთვის ტანჯვის კილო, მაგრამ სატრფოს მშვენების აღწერას უფრო ეტანებოდნენ თეიმურაზ და არჩილ. მაშინ იყო აღორძინების, ცხოვრების განახლების ჟამი და მისი პიონერი პოეტები მასალას კლასიკურ პოეზიაშიაც ეძებდნენ, რომ შოთა რუსთაველისებურის ენით და მოხერხებით შეექოთ სატრფო, ცხოვრების გაეროვნულება მოეხდინათ, სხვათა შორის, კლასიკური ენის აღდგენით, აზრის გამოთქმის კლასიკური მანერებითა.

ალექსანდრე და ილია ჭავჭავაძეების და აკაკი წერეთლის პოეზიაში სატრფოს გარეგანი მშვენიერების აღწერას, თითქმის არ აქვს ადგილი, მაგრამ ხსენებული პოეტების სულისკვეთება უფრო ძლიერია, მათი ტანჯვა, მწარე გოდება და მოთქმა არის ქართველი ხალხის სულისა, რათგანაც მეცხრამეტე საუკუნიდამ, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრიდან, ხალხის ცხოვრება, მისი ჭირვარამი შექმნილიყო მწერლობის საგნად, მაშასადამე ხალხის პოლიტიკური მონობა, მშრომელი ხალხის გმინვა ბატონყმობის უღელ ქვეშ, გამხდარიყო სატრფოსთვის თავის განწირვის, მისი წამების უმთავრესი მიზეზი.

თვით მაშვრალ ხალხს უნდა ეშვა თავისი ყოფადი, უკეთესი მერმისი, უნდა შესდგომოდა სხვა ბედის ვარსკვლავს. მაგრამ ასეთი ბედნიერება დაუდგებოდა მშრომელ ხალხს როცა, ილია ჭავჭავაძის თქმით, მოვიდოდა შრომის სუფევა, ის ერთად-ერთი მხსნელი მაშვრალისა და მისი ადამიანად მქცეველი.

როგორი იყო ყოფა მეცხრამეტე საუკუნეში მაშვრალი ხალხისა, ვეცდები შემდეგ მოგახსენოთ.

პეტრე მირიანაშვილი.

# ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

თანახმად დრ. მთავარ კომიტეტის დადგენილებისა სულ მოკლე ხანში მოწვეულ უნდა იქნეს პარტიული ყრილობა. ამიტომ ცხადდება პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ დელეგატების გამოგზავნის უფლება აქვს მხოლოდ ორგანიზაციებს, რომლებმაც მოახდინეს ხელახალი რეგისტრაცია და ა. წ. ენკენისთვის 15-მდე საგანგებო საორგანიზაციო სამეულს მოაწვდიან წერილობით შემდეგ ცნობებს: 1) როდის დასრულდა ხელ-ახალი რეგისტრაცია; 2) ძველი ორგანიზაციაა თუ ახალი; 3) რამდენი წევრი ჰყავს; 4) კომიტეტის შემადგენლობა.

საგანგებო საორგანიზაციო სამეული.

მისამართი რედაქციის.

# ახალი ამბები

— **ბენია ჩხიკვიშვილის მოწოდება.** ფრანგულ გაზეთ „ტანში“ მოთავსებულია ტფილისის ყოფილი მოურავის, ცნობილი ბენია ჩხიკვიშვილის მოწოდება. მოწოდება მიმართავს ევროპის სახელმწიფოებს და სთხოვს დახმარებას საქართველოდან ბოლშევიკების ჯარის გასაყვანად.

— **რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად გამართული საღამო ქართულ დაშქარის კლუბში.** ქალაქის რევკომის თავმჯდომარის საშა გეგეჭკორის თაოსნობით, გამართა დიდი საღამო დამშეულთა სასარგებლოთ. იშვიათის ხელოვნებით და საუკეთესო ძალებით გამართულმა საღამომ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. საღამოს შემოსავალი აღემატება სამას მილიონს.

— **კოოპერატივის აღდგენა.** ხელოვნებისა და სოციალური კულტურის მუშათა კავშირმა დაადგინა, ახლო მომავალში მასწავლებელთა კოოპერატივის განახლება.

— **ბორჯომის ქონება.** ბორჯომის მთელი წარმოება და წყლები გადაეცა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, ხოლო ტყეების კომისარიატს და სანატორიუმები კი ჯანმრთელობის კომისარიატს.

— **მატარებლების მოძრაობა.** სექტემბერში მატარებლების წესიერად მოძრაობისათვის დანიშნულია შემდეგი რიგი: № 21 ტფილისი—ბათუმი. № 22 ბაქო—ტფილისი. № 23 პეტროვსკი—ბაქო. № 42 [illegible] № 43 ტფილისი—ერევანი და № 4 ტფილისი—ბაქო. დანარჩენი მატარებლები, რომელნიც მოძრაობდნენ აგვისტოში, ისევე განაგრძობენ მოძრაობას სექტემბერში.

— **სპეცების საჭიროება სომხეთში.** სომხეთში დიდი საჭიროებაა სომეხ-ტელეგრაფისტების, ტექნიკების და სხვა სპეცების. სომხეთის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა მიმართა სომხეთის წარმომადგენელს საქართველოში, რომ მოახდინოს სპეცების მობილიზაცია და გადაგზავნოს სომხეთში. მათ მიეცემათ გადიდებული ულუფა.

# რუსეთი

**მოსკოვი.** 30 აგვ. საფრანგეთის რკინის გზელთა რევოლიუციონური აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს, რათა გაიღონ ერთდღიური სამუშაო ხელფასი რუსეთის დამშეულთათვის და აწარმოვონ ორგანიზაციულად მოწყობილი საბოტაჟი პოლონეთსა და რუმინეთში სამხედრო ამუნიციის ტრანსპორტის საქმეში.

**მოსკოვი.** 30 აგვ. ამერიკელმა მუშებმა შეჰქმნეს რუსეთის დამშეულთადმი დახმარების მთლიანი კომიტეტი, რომელშიაც პროფკავშირებიც იღებენ მონაწილეობას. ფულის აკრება ნაყოფიერად სწარმოებს და იმედია 20,000,000 დოლლარის შეგროვებისა.

**მოსკოვი.** 30 აგვ. ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო რუს მუშების კვირა. სწარმოებს მრავალრიცხოვანი კრებები, დემონსტრაციები და შემოწირულების აკრება. პარტიამ დაადგინა მუშების ყოველკვირეულ ხელფასიდან გაიღოს 5 შილინგი რუსეთის დამშეულთა სასარგებლოთ.

მოსკოვი. 30 8. რუმინეთის მინისტრმა ტაკე იონესკომ განაცხადა, რომ რუმინეთი და საფრანგეთი არ აღმოუჩენენ დახმარებას რუსეთს, ვინაიდან მოელიან საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და მათ ჰსურთ ეს დააჩქარონ.

— **მოსკოვი.** 30-8 რუსეთის თეთრგვარდიელები საზღვარ გარეთ ემზადებიან საბჭოთა მთავრობის დამხობის შემთხვევაში, მიართვან რუსეთის სამეფო ტახტი რუმინეთის პრინც ნიკოლოზს.

რუსი მონარქისტები თავს იყრიან რუმინეთის სასახლეში.

**მოსკოვი.** 30—8. განთქმული უკრაინელი კონტრ-რევოლიუციონერი პეტრუშევიჩი, რომელიც დაკავშირებულია რუს მონარქისტებთან, სცდილობს ისესხოს 100,000 დოლარი, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციისათვის.

**რიგა.** 21—8. ბულგარეთის მთავრობამ დაადგინა მიიღოს თავის მზრუნველობის ქვეშ 20,000 ბავშვი და დართოს ნება საბჭოთა რუსეთში სურსათსანოვაგის უფასოდ გატანისა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა** მეტრიკული მოწმობა და ზინგერის საკერავი მანქანის ნაყიდობა ალფეზაზ გარსევანიშვილის სახელზე—რაც ჩაითვალოს გაუქმებულად. 1280

მათემატიკის მასწავლებელი
**ივ. მარ. მაჩაიძე**
(ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე)
**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი საზაფხულო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვადა ჩაწერა 7—8 ს. 3—6. 1271

ტირაჟი 1000
ნ. ფ. ს. ც.